



სასამართლო სხდომის ო ქ მ ი

09 დეკემბერი 2010 წელი

ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის

მოსამართლე ნანა დარასელია

სხდომის მდივანი ეკატერინე მინდიაშვილი

მოსარჩელე – ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“;

მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

მესამე პირი – შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმიტედი“

დავის საგანი – ქმედების განხორციელების დაავალდებულება;

სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. სხდომა დამთავრდა 15:20 საათზე.

მოსამართლე ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას და აცხადებს განსახილველ საქმეს. სხდომის მდივანი სასამართლოს მოახსენებს:

სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ:

მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ დირექტორი – ნინო გუჯარაიძე;

მოსარჩელის წარმომადგენელი – ირმა მახათაძე (წარმოდგენილი რწმუნებულება ერთვის საქმეს);

მესამე პირი შპს „გლობალ იუთილითი ლიმიტედი“-ს წარმომადგენელი – ბესიკ კობერიძე (წარმოდგენილი რწმუნებულება დაერთო საქმეს);

სხდომაზე არ გამოცხადდა:

მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი;

მათთვის დღევანდელი სხდომის შესახებ ცნობილი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

15:03 გამოცხადდა შესვენება

დაგვიანებით გამოცხადდა მოპასუხე მხარის წარმომადგენელი – სოფიო ახალაძე;

15:07 გაგრძელდა საქმის განხილვა

მოსამართლე ამოწმებს პროცესზე გამოცხადებულ პირთა ვინაობას და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას.

მოსამართლე, თანახმად სსსკ-ის 214-ე მუხლისა აცხადებს, რომ საქმეს იხილავს მოსამართლე ნანა დარასელია, სხდომის მდივანი ეკატერინე მინდიაშვილი და უმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.

მხარეებს მოსამართლის და სხდომის მდივნის მიმართ აცილება არ აქვთ.

მოსამართლე აქვეყნებს მესამე პირის მიერ წარმოდგენილ რწმუნებულებას.

მოსამართლის შეკითხვაზე მესამე პირის წარმომადგენელი ბესიკ კობერიძე პასუხობს - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან არ მაქვს, ის დარჩა ნოტარიუსთან.

მოსამართლის შეკითხვაზე - თქვენ სადავოდ ხდით ამ რწმუნებულებას?

მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი პასუხობს - ჩვენ გვინტერესებს რა კომპანიასთან გვაქვს საქმე.

მოსამართლის შეკითხვაზე მესამე პირის წარმომადგენელი პასუხობს - ეს კომპანია რეგისტრირებულია ობშერულ ზონაში, ამონაწერი იქნება ინგლისურ ენაზე და არ იქნება მითითებული შპს, რადგან ღიმითუდი უკვე ნიშნავს აღნიშნულს.

მოსამართლის შეკითხვაზე მხარეებს სხვა შუამდგომლობა არ აქვთ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე, 216-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

ადგილზე თათბირით დაადგინა:

1. მთავარი სხდომა გადაიდოს 2010 წლის 23 დეკემბერს 17:00 საათზე.
2. მესამე პირის წარმომადგენელს დაევალოს ამონაწერის წარმოდგენა სამეწარმეო რეესტრიდან.
3. განჩინება ცალკე არ საჩივრდება.

სხდომა დაიხურა 15:20 საათზე.

მოსამართლე

ნანა დარასელია

სხდომის მდივანი

ეკატერინე მინდიაშვილი



მიქაელა ჯეჯელი
ქვემოთ 10 წლი 2/9 7.12.10